

#6, აგვისტო, 2007

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე ორიენტირებული
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის
იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების
მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში
წარმომადგენლობას
ადმინისტრაციულ ორგანოებში
და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული
კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას
ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



თბილი, მყუდრო ოჯახი

სპექტაკლები „ივანანამ რა ჰქმნა“, „მკნატუნა“ საიუბილეო საღამო,
შეხვედრა ოლიმპიელებთან, ექსკურსია თბილისსა და მცხეთაში,
საქართველოს კათალიკოს პატრიარქის დალოცვა, შეხვედრა
საქართველოს პირველ ლედისთან, საჩუქრები „ემ-სი-ჯისგან“ – ეს მცირე
ჩამონათვალია იმ ღონისძიებების, რომლებიც გურიის რეგიონის
ინვალიდთა ასოციაციის ბენეფიციარებისთვის – შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის – ან თავად ამ ბავშვების მიერ
მაყურებლისთვის იმართება.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

თბილი, მყუდრო ოჯახი

(გაგრძელება)

ბოლო სპექტაკლმა „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელიც ბავშვებმა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მაყურებელს წარუდგინეს, იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მმართველმა და რეჟისორმა ბავშვებს ერთობლივი სპექტაკლის დადგმა შესთავაზეს, რომელზეც მუშაობა სექტემბრიდან დაიწყება.



გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია 1991 წელს შეიქმნა. მისი მიზანია დაიცვას და დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.



არსებობის 15 წლის მანძილზე ასოციაციამ სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით მრავალი პროექტი განახორციელა, რომელმაც მრავალ ბენეფიციარს რწმენა, მომავლის იმედი დაუბრუნა. 2005 წლიდან გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი ცენტრების განვითარების უზრუნველყოფის“ პროექტს, რომელსაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აფინანსებს. პროექტი ითვალისწინებს ბენეფიციარების ყოველდღიურ მომსახურებას, რაც იმას ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები შაბათ-კვირის გარდა ასოციაციაში დადიან, სადაც ერთმანეთს გაიცნენ და დამეგობრდნენ, საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცხოვრებაში ჩაერთვნენ.

„...აქ მე ბევრი მეგობარი შევიძინე. ვისწავლე ცეკვა, სიმღერა, ჩოგბურთის თამაში და ბევრი კარგი რამ. აქ ძალიან კარგად ვერთობი. არ მიყვარს შაბათ-კვირის მოსვლა, რადგან ორშაბათამდე ჩემს მეგობრებს და მასწავლებლებს ვერ ვნახულობ...“
გია მელუა

„ჩემთვის შინიდან გამოსვლა დიდი ტრაგედია იყო. პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. ისე, რომ წარმოდგენაც კი არ მქონდა! დავიწყე ინგლისურის, კომპიუტერის, ხატვის სწავლა. აქ მომეხსნა ყველანაირი კომპლექსი“. მარინა დავოიანი

„გურიის რეგიონში არის ასეთი დაწესებულება „ინვალიდთა ასოციაცია“, სადაც ერთი დიდი, თბილი და მყუდრო ოჯახი ცხოვრობს. მე აქ გავიჩინე ბევრი მეგობარი. ამ ოჯახის ბავშვები ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვართ. ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ... აქ სიარული ძალიან კარგ გუნებაზე მაყენებს. რომ არ მოვდივარ, იმ დღეს შინ ველარ ვისვენებ, რადგან ძალიან მენატრება ბავშვები. ისინი ხომ ძალიან მეგობრულები არიან...“ ნათია ხელაძე

„ჩემი ცხოვრება წინათ მოსაწყენი იყო, სულ ტელევიზორთან ვიჯექი. ამიტომ გადავწყვიტე, მოვსულიყავი ინვალიდთა ასოციაციაში. აქ ძალიან საინტერესოა. მომწონს, კომპიუტერს რომ ვსწავლობ. შევიძინე ბევრი მეგობარი“. ლევან ტონაგანიანი


სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი აგრძელებს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ამჯერად გაგაცნობთ შემდეგი ქვეკრიტერიუმების შედეგებს – საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფესიულ წრეებში ჩართულობა, თანამშრომელთა კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა.

ქვეკრიტერიუმი – სპეციალისტების კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა

ქვეკრიტერიუმი ფასდებოდა ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ გავლილი ტრენინგების, სპეციალური კვალიფიკაციის არსებობის, საქმიანობის პროცესში ორგანიზაციის მიერ გამოყენებული მეთოდოდეგების, სფეროს ექსპერტების ჩართულობით ორგანიზაციის საქმიანობაში. ქვეკრიტერიუმის მიხედვით გამოკითხული ორგანიზაციების განვითარების ინდექსი 2.64-ის ტოლია.


დიაგრამა 1. ორგანიზაციათა განაწილება ქვეკრიტერიუმის – სპეციალისტების კვალიფიკაცია, კომპეტენტურობის მიხედვით




ამ ქვეკრიტერიუმის მიხედვით თბილისისა და რეგიონის ორგანიზაციების შედარებისას აღმოჩნდა, რომ თბილისის ორგანიზაციების განვითარების საშუალო დონე უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონების (Sig. (2-tailed) < 0.05), რაც განპირობებულია დედაქალაქში პროფესიული წრეების კონცენტრაციით, კომუნიკაციის არხების უკეთესი განვითარებით. გარდა ამისა, ორგანიზაციებს მეტი

საშუალება აქვთ დაესწრონ ტრენინგებს და აიმაღლონ კვალიფიკაცია. თბილისის ორგანიზაციათა 12%-ს (7 ორგანიზაცია) სამეთვალყურეო საბჭოში საერთაშორისო ექსპერტები ჰყავთ მიწვეული, რეგიონის ორგანიზაციებიდან კი მხოლოდ 1 ორგანიზაციას ჰყავს ასეთი წევრი სამეთვალყურეო საბჭოში.

დიაგრამა 2. თბილისის ორგანიზაციების განაწილება ქვეკრიტერიუმის – სპეციალისტების კვალიფიკაცია, კომპეტენტურობის მიხედვით



დიაგრამა 3. რეგიონის ორგანიზაციების განაწილება ქვეკრიტერიუმის – სპეციალისტების კვალიფიკაცია, კომპეტენტურობის მიხედვით



(გაგრძელება მე-4 გვ.)


სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგები

(გაგრძელება)


თბილისის ორგანიზაციების 79%-ს აქვს შტატური თანამშრომლების მომზადების სისტემა, ხოლო რეგიონის ორგანიზაციების მხოლოდ 59.4%. თბილისის იმ ორგანიზაციებიდან, ვისაც აქვს თანამშრომელთა მომზადების სისტემა, თანამშრომლებს უცხოეთში სტაჟირებაზე აგზავნი 33.3%, ხოლო რეგიონის ორგანიზაციებიდან - მხოლოდ 15%. ფასიან კურსებზე აგზავნი თბილისის ორგანიზაციათა 45%, ხოლო რეგიონის - მხოლოდ 20%. ეს განსხვავება, ერთი მხრივ, განპირობებულია რეგიონისა და დედაქალაქის ორგანიზაციათა ფინანსური რესურსების განსხვავებით, ხოლო მეორე მხრივ, მოსამზადებელი კურსებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, ასევე იმ გარემოებით, რომ ფასიანი ტრენინგების უმეტესობა დედაქალაქში არის ორგანიზებული.

ქვეკრიტერიუმი – პროფესიულ წრეებში ჩართულობა
ქვეკრიტერიუმის ქულას განსაზღვრავდა ორგანიზაციების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ქსელებში, საერთაშორისო მეთოდიკების გამოყენება და საკუთარს შექმნა, რომელიც აღიარებულია ადგილობრივი პროფესიული წრეების მიერ. ორგანიზაციების განვითარების ინდექსი ამ ქვეკრიტერიუმის მიხედვით ტოლია 3.14-ის. თბილისის ორგანიზაციების განვითარების ინდექსი ამ ქვეკრიტერიუმის მიხედვით 3.25-ის ტოლია, ხოლო რეგიონის ორგანიზაციების 2.95-ის. (დიაგრამა #4 და #5)

დიაგრამა 4 თბილისის ორგანიზაციების განაწილება ქვეკრიტერიუმის – პროფესიულ საქმიანობაში ჩართულობის მიხედვით



დიაგრამა 5 რეგიონის ორგანიზაციების განაწილება ქვეკრიტერიუმის – პროფესიულ საქმიანობაში ჩართულობის მიხედვით



საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ მეთოდიკებს გამოკითხული ორგანიზაციების 74.7% იყენებს, 21.3% ასევე იყენებს საკუთარ აპრობირებულ მეთოდიკებს, ხოლო 22.7% საერთოდ არ იყენებს არანაირ კონკრეტულ მეთოდიკას. საერთაშორისო აღიარების მქონე მეთოდიკებიდან დასახელდა – ფიზიოთერაპიული მეთოდები, ფსიქოდიანოგოსტიკა, ფსიქოკორექცია, SAMSA, გეშტალტთერაპია, NLP, არტთერაპია.

ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა უმეტესობა აქტიურად არის ჩართული პროფესიულ საზოგადოებაში და აქვთ მჭიდრო ურთიერთობა სხვა იგივე ტიპის ორგანიზაციებთან, 67.9%-ს განხორციელებული აქვს ერთობლივი საქმიანობა სხვა ორგანიზაციასთან ერთად, ხოლო 54.2%-ს აქვს კოალიციური მუშაობის გამოცდილება.

საკონკურსო განაცხადი
 1.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგერალური დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული შემთხვევების მართვის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 24 აგვისტო
<http://www.civilin.org/welfare>

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს.

ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“, „ბასტა“, „მთელი კვირა“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

ივლისის თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 28 პუბლიკაცია




- ახალი თაობა
- რეზონანსი/ბასტა
- ალიასქრონიკა
- ჯორჯიან თაიმსი
- კვირის პალიტრა
- თბილისელები
- სარკე

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან მზრუნველობამოკლებული ბავშვების პრობლემებზე 5 პუბლიკაცია, ხოლო ქუჩაში მყოფი ბავშვების შესახებ 2 დაიბეჭდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ 10, ხანდაზმულების პრობლემებს 3 წერილი მიეძღვნა, აივ ინფექციის პრობლემაზე 5 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, უშუალოდ სოციალურ სფეროზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ საკითხებს 3 წერილი მიეძღვნა.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- ინვალიდი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
- ქუჩის ბავშვი
- მაწანწალა
- უპატრონო ბავშვი
- უპატრონო მოხუცი
- მოხუცი
- ხანდაზმული
- უნარშეზღუდული

საკონკურსო განაცხადი

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის დაავადებათა (მ.შ. ნარკომანიის) პროფილაქტიკის კომპონენტის ნარკომანიის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ავადობის აქტიური გამოვლინებებისა და მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 24 აგვისტო

<http://www.civilin.org/welfare>